საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**14**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**13**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**16**	**20**
პროფესიული თვისებები	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**10**	**10**
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**71**	**100**

სახელი, გვარი: ლევან მურუსიძე

თარიღი: 25.06.2025წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან მურუსიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის თამარ ალფაიძის შეფასება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის N1/35 განკარგულებით დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ თამარ ალფაიძის შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით:

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

თამარ ალფაიძის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დაცალიანება არ ერიცხება. კანდიდატი რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში (თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონაცემებზე დაყრდნობით – სტატუსი შეჩერებულია, თუმცა მეწარმეთა და

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებით - სტატუსი აქტიურია). კანდიდატი ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები (18 ფაქტი) კანდიდატს გადახდილი აქვს დროულად.

თამარ ალფაიძეს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. მიუთითებენ მის კეთილსინდისიერებაზე, პატიოსნებაზე, შრომისმოყვარეობაზე, საქმისა და ზოგადად საკუთარი პროფესიისადმი ერთგულებაზე, პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებაზე. ერთი რეკომენდატორი თამარ ალფაიძის სისუსტედ მიუთითებს „საკმაოდ თავისუფალი აზროვნების, ადამიანებისადმი იმთავითვე დადებითად განწყობის სტილს". რეკომენდატორი აქვე უთითებს, რომ აღნიშნული არის თუ არა სისუსტე/ნაკლოვანება - თავად რეკომენდაციის წამკითხველმა უნდა განსაჯოს.

გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ რესპოდენტების აზრით, კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ერთ შემთხვევაში უჭირთ შეფასების გაკეთება. კომპეტენტურობის კრიტერიუმით ერთი რესპოდენტი კანდიდატს აფასებს ზოგიერთ შემთხვევაში კარგად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში უჭირს შეფასება. მეორე რესპოდენტი კი აფასებს ძალიან კარგად ან კარგად, ხოლო ერთ შემთხვევაში - მინიმალურად.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო ემოციური, თუმცა ინარჩუნებდა კორექტულობას.

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც სამართლიან, მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ პიროვნებას. მიაჩნიათ, რომ არ ექვემდებარება ზეგავლენებს.

კანდიდატი არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერი/წევრი/შემომწირველი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის შუალედურ არჩევნებში იყო მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი.

მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ.

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება (ასეთის ფაქტების არსებობის შემთხვევაში) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ალფაიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი მონაწილეობდა ორ, უკვე დასრულებულ სამოქალაქო სამართლის საქმეში, მოპასუხის სტატუსით. კანდიდატი ცნობილია დაზარალებულად ერთ სისხლის სამართლის საქმეზე.

რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი კულტურული, კეთილშობილი და ტაქტიანი ადამიანია. გამოარჩევენ სიკეთით და ადამიანებისადმი თანადგომის უნარით. მიაჩნიათ, რომ თავის პროფესიაში მომთმენი და თავდაჭერილი პიროვნებაა.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი ძირითადად კარგად მართავდა საკუთარ ემოციებს.

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ ძირითადად დადებითად. პროფესიულ წრეში სარგებლობს მაღალი მორალური და საქმიანი რეპუტაციით.

თამარ ალფაიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობასთან, საკანონმდებლო ინიციატივებთან და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატობასთან დაკავშირებით.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ყველა მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასების შედეგად მიმაჩნია, რომ თამარ ალფაიძე სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი იცნობს სამართლის თეორიულ საფუძვლებს, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას.

საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კითხვები დაისვა სამართლის სხვადასხვა სფეროდან. კანდიდატმა ვერ გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნის საოანადო დონე. კანდიდატმა მეტ-ნაკლებად იმსჯელა დასმულ კითხვებზე სიცოცხლის უფლების

თაობაზე (ზოგადად მიმოიხილა). ხოლო ყველა სხვა საკითხზე თავი შეიკავა ან უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე.

ჩემის აზრით, მიუხედავად მისი თეორიული, აკადემიური აქტივობისა, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ყურადღებით არ ეცნობა ქვეყნის კანონმდებლობას, შიდა სასამართლო პრაქტიკას, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

თამარ ალფაიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (სამეცნიერო პუბლიკაციები - სამართლისა და მორალის ევოლუცია; სამართლის ჰუმანური პრინციპები; მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება; ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება) არის დასაბუთებული. ჩანს, რომ მას შეუძლია სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე არგუმენტირებულად და დამაჯერებლად მსჯელობა წერილობით. დასაბუთების დროს იშველიებს მნიშვნელოვან იურიდიულ ლიტერატურას და სხვა წყაროებს.

გამართული საჯარო მოსმენის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ დასმულ სამართლებრივ საკითხებს თავი ვერ გაართვა, ამასთანავე აკლდა თავდაჯერებულობა - განაცხადა, რომ „იბნევა ხოლმე". შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატმა ვერ წარმოაჩინა მისი პროფესიული ცოდნა და შესაძლებლობები. ფაქტიურად უარი განაცხადა შეეფასებინა დასმული სამართლებრივი პრობლემები და საფუძვლიანად ემსჯელა მათ შესახებ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მოცემულ ეტაპზე მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი პოზიტიურად ვერ შეფასდება.

თამარ ალფაიძეს აქვს პროფესიული საქმიანობის (ძირითადად აკადემიური და თეორიული მიმართულებით) 25 წლიანი გამოცდილება.

გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ხოლო ზეპირი კომუნიკაციისას - გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა. მისი წერილობითი მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია, გამართულია გრამატიკულად და სტილისტურად.

გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ზოგადად მეტყველებს გამართულად. მიმაჩნია, რომ მას აქვს განსხვავებული აზრის მოსმენისა და მისი მიმღებობის უნარი. თუმცა, როგორც თავად განაცხადა იბნეოდა, თავს იკავებდა ან უარს აცხადებდა დასმული სამართლებრივი საკითხების განხილვაზე. რაც,

ჩემის აზრით, შეუძლებელს ხდის პროფესიული კუთხით მისი ზეპირი კომუნიკაციის უნარის სრულფასოვან შეფასებას.

დ) პროფესიული თვისებები

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარები და სხვა.

რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ რომ კანდიდატი შრომისმოყვარე, პასუხისმგებლობის სათანადო შეგნების მქონე პროფესიონალია. მიაჩნიათ, რომ აქვს გუნდური მუშაობისა და სტრესულ სიტუაციებში საქმიანობის უნარი.

2024 წლიდან დღემდე არის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. ასევე, 2022 წლიდან დღემდე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მასწავლებელი.

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია, რაც მისი საქმიანობის დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.

ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

თამარ ალფაიძე ფლობს ინგლისურ, ესპანურ და რუსულ ენებს. კანდიდატს მოპოვებული აქვს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი, არის მრავალი სტატიისა და პუბლიკაციის ავტორი.

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას - ამ ეტაპზე წარმოადგენს მის ძირითადი საქმიანობის სფეროს.

ზ) პროფესიული აქტივობა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება. აგრეთვე, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ალფაიძე ინტენსიურად მონაწილეობს სხვადასხვა პროფესიულ სემინარებსა და შეხვედრებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანდიდატის მითითებით, საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად ნომინირებულია მისი ორი აკადემიური ნაშრომი იურიდიული მეცნიერების დარგში - "სამართალმცოდნეობის შესავალი" და „მედია სამართალი".

მიმაჩნია, რომ თეორიული მიმართულებით ეწევა აქტიურ პროფესიულ საქმიანობას, გააჩნია ახალი, მისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და საჭირო ინფორმაციის მიღების მისწრაფება.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის ყველა მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასების შედეგად თამარ ალფაიძე ჯამში შეკვაფასე 71 ქულით.

ლევან მურუსიძე

თარიღი: 25.06.2025